

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს**  
**2010 წლის 21 ოქტომბრის სხდომის**  
**ოქმი №54**

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 35. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 წევრის შემადგენლობით. კომისიის შემადგენლობაში დასახელდნენ საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. მალხაზ ხუციშვილი, პროფ. ნინო ნიკვაშვილი, პროფ. ნაზიბროლა კუციავა.

**წარმოდგენილ კანდიდატურებს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2009 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** აღნიშნული ანგარიში მოსმენილ იქნა საფინანსო კომისიაზე და შეფასდა დამაკმაყოფილებლად. კომისიის შემადგენლობას და პირადად ბატონ დავითს დიდ მადლობას ვუხდით დეტალური ანალიზისთვის. შენიშვნებს ზოგს ვეთანხმები, ზოგზეც ჩემი არგუმენტირებული პასუხი მაქვს.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ჩვენი კომისია ანგარიშს გაეცნო. ყველაფერი დადებითად არის წარმოდგენილი. ეს არის დიდი მუშაობის შედეგი. მომავალში საჭიროა შევადგინოთ ეკონომიკური განვითარების სპეციალური პროგრამა და არ ვიყოთ დამოკიდებული სტუდენტთა შემოსავლებზე. საბოლოოდ ისიც უნდა ვთქვათ, რომ კონტროლის პალატის შემოწმების დასკვნაში არანაირი სერიოზული დარღვევა არ ყოფილა აღნიშნული. შეფასება დადებითია. ჩვენ რექტორთან და ადმინისტრაციასთან ერთად კონსტრუქციულად ვმუშაობთ, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კიდევ ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ბატონ დავითის მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ ტექნოპარკის გახსნა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ის ძალიან მალე ჩადგება მწყობრში. სტიმული მიეცემა ჩვენს ეკონომიკურ საქმიანობას და ამაზე რეალურად მიმდინარეობს მუშაობა. გვაქვს შესყიდული ინფო-ბუღალტრული პროგრამა, მაგრამ ის არ არის სრულყოფილი, რადგან არ არის შედგენილი უმაღლესი სასწავლებლისათვის. ამისთვის გამოყვავით 3 000 ლარი, რათა ეს პროგრამა დაიხვეწოს ჩვენთვის.

წინა სხდომაზე ბევრი შეკითხვა იყო მასწავლებლებთან დაკავშირებით. ჩვენ ვიმსჯელებთ და გადაწყდა, რომ მასწავლებლები და უფროსი მასწავლებლები აყვანილ იქნენ 12 თვის ვადით, შესაბამისად, ისინი მიიღებენ თავიანთ კუთვნილ საშვებულებო თანხასაც.

კიდევ ერთი საკითხი. ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა დონისძიებას ფულის მოზიდვისთვის და შედეგად ბოლო 1 თვის განმავლობაში რეკორდული თანხაა შემოტანილი. სტუდენტებს სტატუსი შეუჩერდებათ და არ შეუწყდებათ, თუ ისინი თანხას არ შემოიტანენ. ჩვენ ვცდილობთ, საახალწლოდ ტრადიციულად გავცეთ პრემია. ვფიქრობთ ხელფასის მომატებაზეც.

**პროფ. ჯემალ ბერიძე:** 2009 წლის ანგარიშში შემოსავლებს დააკლდა 2 900 ლარი. რა ხდება კავკასიის ბიზნეს სკოლასთან და სხვა მოიჯარეებთან მიმართებაში?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** კავკასიის ბიზნეს სკოლაზე შეტანილია სარჩელი. მოიჯარეებს ჰქონდათ შედგენილი გადახდის გრაფიკი. ვისაც 3 თვე ზედიზედ არ ჰქონდა გადახდილი, მათზე სარჩელი შევიტანე სასამართლოში, მათ შორის ერთმა გაასაჩივრა.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია:** კავკასიის ბიზნეს სკოლამ თავისი შემოთავაზებული გეგმაც არ შეასრულა?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** იხდის იჯარას და კომუნალურ გადასახადებს 982 მ<sup>2</sup> ფართზე.

**პროფ. დემურ დანელია:** მე მინდა სპეციალურად ვთქვა ქალბატონ ქეთევანის შესახებ. ასეთი ნიჭიერი ქალი იშვიათია. ყველა საკითხში კომპეტენტურია და თავის საქმეს უმაღლეს დონეზე უძღვება. ჩვენი ვალია, ყოველმხრივ შევეუწყოთ ხელი, რათა მან კიდევ უფრო წარმატებით გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი.

**სპიკერი:** თუ არის კედევ შეკითხვები ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან? თუ არ გაქვთ, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ ანგარიშს.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2009 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.*

**ბ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის №54 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა 2009 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2009 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:*

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2009 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში (იხ. დანართი).
2. სტუ-ს ადმინისტრაციამ:
  - ა) მიიღოს გადამჭრელი ზომები უნივერსიტეტში ეკონომიკური საქმიანობის ამაღლების უზრუნველყოფის გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამის შესამუშავებლად და იგი მოკლე ვადაში დასამტკიცებლად წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
  - ბ) 2011 წლის განმავლობაში უზრუნველყოს შემოსავლების აღრიცხვის სპეციალური კომპიუტერული პროგრამის შემუშავება და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** მინდა მადლობა მოგახსენოთ კონსტრუქციული შენიშვნებისთვის, კამათისთვის, რაც ხშირად გამართულა ჩვენს შორის და ასევე გვერდში დგომისათვის.

რაც შეეხება სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებს:

სტუ-ს 2010 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები გამოწვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის №24-09-1/17121 წერილითა და დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვით, ასევე 2010

წლის №09-1/27/61 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებით, რაც ითვალისწინებს „ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებას. ასევე, ცვლილება განიცადა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მოხიდულმა თანხებმა, რის შედეგადაც გაიზარდა ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი. კერძოდ:

- მთავრობის გადაწყვეტილებებით, რეორგანიზაციის გზით სტუ-სთან შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილია 100 000 ლარი;
- „ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაში“ გათვალისწინებული სამუშაოებისთვის – 257 808 ლარი, რაც ხელშეკრულების შესაბამისად ითვალისწინებს სტუ-ს სააქტო დარბაზისათვის 207 695 ლარს და უნივერსიტეტის შახტა-ლაბორატორიის ელექტროსამონტაჟო სამუშაოებისთვის – 50 113 ლარს;
- ნაერთი ბიუჯეტის სამეცნიერო გრანტების საშემოსავლო ნაწილი იზრდება 29 795 ლარით, რაც ითვალისწინებს აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ხარჯებს.

ამგვარად, 2010 წლის საბიუჯეტო სახსრების საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 28 766 200 ლარით, შესაბამისად – ხარჯვითი ნაწილიც.

ასევე წარმოგიდგენთ სტუ-ს ფაკულტეტებისა და ნაერთ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, კერძოდ:

- სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებიდან 2000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების ხარჯების მუხლში (საფუძველი: სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება);
- არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტის შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 5000 ლარი და გამოფენების მოწყობის ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს სოციალური უზრუნველყოფის მუხლში (საფუძველი: არქიტექტურის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება);
- ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 3000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, კომპიუტერული

პროგრამული უზრუნველყოფის მუხლში (საფუძველი: სტუ-ს ადრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი), 3900 ლარი – კომუნალური გაყვანილობებისა და მათი შეკეთების ხარჯების მუხლში, ხოლო 900 ლარი – საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მუხლში, რომლებიც არ კლასიფიცირდება დანარჩენ მუხლებში (საფუძველი: სამეურნეო და სარემონტო-საქსპლუატაციო დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი);

- მივლინებების მუხლიდან 2000 ლარი გადატანილ იქნეს სტუდენტური საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯების მუხლში (საფუძველი: სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი);
- მიღებებისა და ღონისძიებების მუხლიდან 3500 ლარი გადატანილ იქნეს სტუდენტური საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯების მუხლში (საფუძველი: სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი);
- სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების, წიგნების მუხლიდან 1500 ლარი გადატანილ იქნეს სტუდენტური საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯების მუხლში (საფუძველი: სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი);
- კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზაციის ხარჯების მუხლიდან 3000 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის მუხლში და 3000 ლარი – სტუდენტური საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯების მუხლში (საფუძველი: სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი);

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ფინანსურ კომისიაზე რაც განვიხილეთ, იმ ცვლილებებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გვაქვს.

**პროფ. აგული სოსხაძე:** სასწავლო პრაქტიკის თანხას ვინ იხდის?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ეს თავიდანვე უნდა იყოს განსაზღვრული. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება (პროექტის სახით), რომ ამის შემდეგ კარგად

განემართო, თუ თითოეულ მუხლში რა უნდა იყოს ჩადებული. ამას მოვთხოვთ ფაკულტეტებსაც.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის №54 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, რის შედეგად 2010 წლის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა, კერძოდ:

1.1. მთავრობის გადაწყვეტილებებით სტუ-სთან რეორგანიზაციის გზით შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისთვის – 100 000 ლარით;

1.2. „ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაში“ გათვალისწინებული სამუშაოებისთვის – 257 808 ლარით, რაც ხელშეკრულების შესაბამისად ითვალისწინებს სტუ-ს სააქტო დარბაზის – 207 695 ლარით და უნივერსიტეტის შახტა-ლაბორატორიის ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს – 50 113 ლარით;

1.3. ნაერთი ბიუჯეტის სამეცნიერო გრანტების საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 29 795 ლარით, რაც ითვალისწინებს აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ხარჯებს.

ამგვარად, 2010 წლის საბიუჯეტო სახსრების საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 28 766 200 ლარით, შესაბამისად – ხარჯვითი ნაწილიც.

2. სტუ-ს ფაკულტეტებისა და ნაერთ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, კერძოდ:

2.1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებიდან – 2000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინებების ხარჯების მუხლში (საფუძველი: სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს 2010 წლის 11 ოქტომბრის სხდომის (ოქმი №9) გადაწყვეტილება;

2.2. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტის შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 5000 ლარი და გამოფენების მოწყობის ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს

სოციალური უზრუნველყოფის მუხლში (საფუძველი: არქიტექტურის ფაკულტეტის საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის სხდომის (ოქმი №1) გადაწყვეტილება;

2.3. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 3000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მუხლში (საფუძველი: სტუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის 2010 წლის 18 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი), 3900 ლარი – კომუნალური გაყვანილობებისა და მათი შეკეთების ხარჯების მუხლში, ხოლო 900 ლარი – საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მუხლში, რომლებიც არ კლასიფიცირდება დანარჩენ მუხლებში (საფუძველი: სამეურნეო და სარემონტო-საქსპლუატაციო დეპარტამენტის უფროსის 2010 წლის 20 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი);

2.4. მივლინებების მუხლიდან 2000 ლარი გადატანილ იქნეს სტუდენტური საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯების მუხლში (საფუძველი: სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსის 2010 წლის 19 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი);

2.5. მიღებებისა და ღონისძიებების მუხლიდან 3500 ლარი გადატანილ იქნეს სტუდენტური საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯების მუხლში (საფუძველი: სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსის 2010 წლის 19 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი);

2.6. სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების, წიგნების მუხლიდან 1500 ლარი გადატანილ იქნეს სტუდენტური საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯების მუხლში (საფუძველი: სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსის 2010 წლის 19 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი);

2.7. კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზაციის ხარჯების მუხლიდან 3000 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის მუხლში და 3000 ლარი – სტუდენტური საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯების მუხლში (საფუძველი: სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსის 2010 წლის 19 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი);

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების შეტანის დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

**სპიკერი:** საკითხი ეხება ფაკულტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებას და მის შემადგენლობაში ახალი, "საწარმოო ინოვაციების და ოპერატიული მენეჯმენტის" დეპარტამენტის დაარსებას.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** მე ვესწრებოდი ფაკულტეტის საბჭოს სხდომას და მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნული სტრუქტურული ცვლილება.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

### **ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის №54 სხდომაზე სპიკერმა პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმოადგინა საკითხი ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების შეტანის დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების შეტანის საკითხი და გადაწყვიტა – შეიცვალოს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და მის შემადგენლობაში დაარსდეს ახალი, "საწარმოო ინოვაციების და ოპერატიული მენეჯმენტის" დეპარტამენტი, რომელიც არ საჭიროებს დამატებით საშტატო ერთეულებს, ვინაიდან იგი დაკომპლექტდება "ინოვაციური მენეჯმენტის" №67 სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების თანამშრომლებით (13 აკადემიური ერთეული, 2 ლაბორანტი, 1 ლაბორატორიის გამგე). (იხ. დანართი).*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში პროფესორისა და სტუდენტების წარმომადგენლობის საერთო – საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კვორტების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ზურაბ ლომსაძე.

**პროფ. ზურაბ ლომსაძე:** სტუ-ს წესდების თანახმად წარმომადგენლობითი საბჭოს რაოდენობა შეადგენს აკადემიური საბჭოს ორმაგ რაოდენობაზე მეტ ერთ-ერთ უახლოეს სამის ჯერად რიცხვს. წესდებიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითი საბჭოს რიცხოვნობა დღეისთვის შეიძლება იყოს 36. რადგან აკადემიურ საბჭოში არის 17 წევრი  $17 \times 2 = 34$  უხლოესი 3-ის ჯერადი კი 36-ია. ვიანგარიშეთ კვორტა თითოეულ ფაკულტეტზე ცალ-ცალკე, მათი სტუდენტებისა და პროფესორების რაოდენობის მიხედვით.

**პროფ. გენადი იაშვილი:** იქნებ 36 გავზარდოთ 42-მდე, რატომ 36? მაგალითად, ჩვენს ფაკულტეტზე ხუთი დეპარტამენტი, ამიტომ აკადემიური პერსონალიდან ხუთი წევრი მაინც უნდა აირჩეს.

**პროფ. ზურაბ ლომსაძე:** ჩვენ ეს კვოტები განვსაზღვრეთ ფაკულტეტებიდან მთლიანად და არა დეპარტამენტების მიხედვით. რეალურად გთავაზობთ 36-ს. თქვენი გამოთვლით სამ ფაკულტეტს დაემატება თითო-თითო წევრი, ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია:** არქიტექტურის ფაკულტეტზე 1 კაცი წარმომადგენლობას არ ქმნის. კარგი იქნებოდა გამოქვეყნებულიყო სხდომებზე დასწრების გრაფიკი. ალრე 3 ფაკულტეტი წყვეტდა დანარჩენი 5 ფაკულტეტის ბედს და ეს არ მომწონდა. ახალი პროექტი უფრო მისაღებია.

**პროფ. ჯემალ ბერიძე:** განაწილება სწორია, რადგან ეს არის ტექნიკური უნივერსიტეტი და დომინანტი უნდა იყოს ტექნიკური ფაკულტეტები.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ჩვენ ამას ვერ შევცვლით, რადგან აკადემიურმა საბჭომ თავიდან უნდა იმსჯელოს ამაზე, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თანაც ჩვენ ფაკულტეტებიდან გვყავდა აკადემიურ საბჭოში წარმომადგენლები და მათ უნდა ემსჯელათ ამ საკითხზე, დაეცვათ თქვენი ინტერესები.

**პროფ. გენადი იაშვილი:** ჩვენ ვერაფერს ვერ ვცვლით და ეს არის სამწუხარო.

**პროფ. ივორ კვესელავა:** თუ კვოტები დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე, რატომ არ იცოდა დეკანმა? ახლა იქმნება უხერხულობა, დეკანს ხომ უნდა სცოდნოდა?

**პროფ. აგული სოსაძე:** აკადემიური საბჭო არის ჩვენ მიერ არჩეული მეცნიერი მუშაკებისაგან დაკომპლექტებული და მათ მიიღეს გადაწყვეტილება. ამის შეცვლას მოჰყვება დიდი არეულობა.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა: მომხრე – 35, წინააღმდეგი – 2, თავი შეიკავა – 0.**

#### **ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის №54 სხდომაზე სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა პროფ. ზურაბ ლომსაძემ წარმოადგინა საკითხი “სტუ-ს წარმომადგენლობითი

საბჭოს არჩევნების შესახებ” სტუ-ს აკადემიური საბჭოს №339 დადგენილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, მომხრე – 33, წინააღმდეგი – 2, თავი შეიკავა – 0, დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №339 დადგენილება “სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების შესახებ”:

1. 2010 წლის 29 ოქტომბრიდან დაიწყო წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტების და ბიბლიოთეკის წარმომადგენლების არჩევნების პროცესი ქვემოთ მითითებული ვაკანსიების მიხედვით:

- სამშენებლო ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 3 ვაკანსია, მათ შორის 2 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- არქიტექტურის, ურბანისტიკის და ღიზანის ფაკულტეტი – 2 ვაკანსია, მათ შორის 1 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- კუმანტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი – 6 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 3 – სტუდენტებიდან;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 8 ვაკანსია, მათ შორის 5 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 3 – სტუდენტებიდან;
- ბიბლიოთეკა – 1 ვაკანსია.
- სულ – 36 ვაკანსია, მათ შორის 23 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან, 1 – ბიბლიოთეკიდან და 12 – სტუდენტებიდან;

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ შესაბამისი ფაკულტეტების სტუდენტებს, სრულ, ასოცირებულ ან/და ასისტენტ-პროფესორებს, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს; კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრებს.

3. ფაკულტეტის წარმომადგენლობის კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ საფაკულტეტო საარჩევნო კომისიაში, ხოლო ბიბლიოთეკის წარმომადგენლობის კანდიდატებმა – აკადემიურ საბჭოში; განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის მოწმობის ასლი და ცნობა სტუ-ში დაკავებული თანამდებობის/უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს მიმდინარე წლის 8 ნოემბერს და დასრულდეს 17 ნოემბერს. არჩევნები გაიმართოს რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს – 24 ნოემბერს; ფაკულტეტის წარმომადგენლების არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე, ხოლო ბიბლიოთეკის წარმომადგენლისა – აკადემიური საბჭოში.
5. არჩევნები ჩატარდეს “მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ” დებულების შესაბამისად.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სამშენებლო ფაკულტეტის ჰიდროსაინჟინრო დეპარტამენტისათვის დამატებითი საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს №327 დადგენილება – მომხსენებელი თამარ წერეთელი.

**ქნი თამარ წერეთელი:** საკითხი ეხება სამშენებლო ფაკულტეტის ჰიდროსაინჟინრო დეპარტამენტისათვის დამატებითი საათების გამოყოფის საკითხს. ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოების შესაქმნელად და დასანერგავად დეპარტამენტი ითხოვს 1750 საათის გამოყოფას. საკითხი განხილულია აკადემიურ საბჭოზე და მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

**სპიკერმა** კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

### **ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის №54 სხდომაზე თამარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი სამშენებლო ფაკულტეტის ჰიდროსაინჟინრო დეპარტამენტისათვის დამატებითი საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს №327 დადგენილება.

**წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა** სტუ-ს აკადემიური საბჭოს №327 დადგენილება – სამშენებლო

*ფაკულტეტის პიდროსაინჟინრო დეპარტამენტს დამატებით გამოეყოს 1750 საათი ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოების შესაქმნელად და დასანერგავად.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – ”მექანიკურ სამუშაოთა საინჟინრო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს №330 დადგენილება – მომხსენებელი პროფ. ზაზა მიქაძე.

**პროფ. ზაზა მიქაძე:** წარმოგიდგენთ საკითხს ”მექანიკურ სამუშაოთა საინჟინრო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. საკითხი განხილულია აკადემიურ საბჭოზე და მიღებულია დადგენილება ამ ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეექვსე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

#### **ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის №54 სხდომაზე პროფ. ზაზა მიქაძემ წარმოადგინა საკითხი ”მექანიკურ სამუშაოთა საინჟინრო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს №330 დადგენილება.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №330 დადგენილება "მექანიკურ სამუშაოთა საინჟინრო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – "აბიტურიენტთა მომზადების ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს №331 დადგენილება – მომხსენებელი პროფ. თამაზ ბეჟუაშვილი.

**პროფ. თამაზ ბეჟუაშვილი:** აბიტურიენტთა მომზადების ცენტრი იმდენი ხანია არსებობს, რომ უხერხულია ლაპარაკი. ეს ცენტრი არის თვითდაფინანსებაზე და მომზადების დონე მაღალია.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** უფასოდ უნდა მოვამზადოთ ბავშვები, რომ მოვიზიდოთ სტუ-ში აბიტურიენტები. ეს იქნება რეკლამა. ახლა რა ღირს ეს კურსები?

**პროფ. თამაზ ბეჟუაშვილი:** 2 000 ლარი 1 აბიტურიენტის მომზადება.

**პროფ. ივანე თვალავაძე:** რამდენ საგანში ვამზადებთ?

**პროფ. თამაზ ბეჟუაშვილი:** ვამზადებთ 4 საგანში, იმ საგნებში, რომლებიც ეროვნულ გამოცდებზე ბარდება.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია:** ამდენი ხალხი რომ არ ჩაჭრილიყო მათემატიკაში, ახლა ყველა ფაკულტეტი შევსებული იქნებოდა. იქნებ დავაინტერესოთ ახალგაზრდები და მათემატიკაში უფასოდ მოვამზადოთ, ეს თანხა კი სტუ-მ გაიღოს.

**პროფ. გენადი იაშვილი:** მე მაინტერესებს სარეკლამო მომსახურებაზე რა ხარჯი გაიღეთ?

**პროფ. თამაზ ბეჟუაშვილი:** ჩვენ არ გვაქვს თავისუფალი თანხები.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეშვიდე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

#### ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის №54 სხდომაზე პროფ. თამაზ ბეჟუაშვილმა წარმოადგინა საკითხი "აბიტურიენტთა მომზადების ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს №331 დადგენილება.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №331 დადგენილება "აბიტურიენტთა მომზადების ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე საკითხი – "კულტუროლოგიისა და ქართული კულტურის კვლევის ცენტრის" დასახელებაში ცვლილების შეტანის დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს №332 დადგენილება. ეს საკითხი უნდა წარმოედგინა ცენტრის ხელმძღვანელს პროფ. ზურაბ გამეზარდაშვილს, მაგრამ იგი საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრება სხდომას და აღნიშნულ საკითხს მე წარმოვიდგენთ.

”კულტუროლოგიისა და ქართული კულტურის კვლევის ცენტრი” და მისი დებულება ჩვენ დავამტკიცეთ №38 სხდომაზე. ამჟამად ცვლილება შედის მხოლოდ ცენტრის დასახელებაში – “ევროინტეგრაციული პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი”. გვთხოვენ, დავამტკიცოთ ამ ცენტრის ახალი სახელწოდება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მერვე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

### ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის №54 სხდომაზე სპიკერმა პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმოადგინა საკითხი ”კულტუროლოგიისა და ქართული კულტურის კვლევის ცენტრის” დასახელებაში ცვლილების შეტანის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს №332 დადგენილება.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №332 დადგენილება – შეტანილ იქნეს ცვლილება აკადემიური საბჭოს №136<sup>1</sup> დადგენილებაში და „კულტუროლოგიისა და ქართული კულტურის კვლევის ცენტრს“ ეწოდოს „ევროინტეგრაციული პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“.*

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ეკატერინე თევზაძე

სხდომის მდივანი,

პროფესორი

გინა გურეშიძე